ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის და შუა ამაღლების ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ვლადიმერ სიხარულიძის

ანგარიში 2019 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსისა“ და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენას.

2018 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გზით გავხდი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის IV-ე მოწვევის საკრებულოს წევრი და საკრებულოს, სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. შესაბამისად, ვარ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრი, სადაც მუშაობა მიწევს სხვადასხვა მიმართულებით, იქნება ეს საკრებულოს დღის წესრიგის შედგენა, საკრებულოს სამუშაო გეგმებისა და სამუშაო პროგრამების პროექტების მომზადება, თუ დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობის კოორდინირება.

რაც შეეხება ჩვენს კომისიას, საკრებულოს რეგლამენტით მონიჭებული უფლებამოსილებით, სამუშაო გეგმის შესაბამისად, შეიმუშავებს, განიხილავს და საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს.

კომისიაში შექმნილია შემდეგი სამუშაო ჯგუფები:

ა) განათლებისა და სკოლამდელი აღზრდის საკითხთა სამუშაო ჯგუფი;

ბ) ახალგაზრდული პროგრამების, კულტურისა და სპორტის საკითხთა სამუშაო ჯგუფი;

გ) კულტურული მემკვიდრეობის, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო საქმეთა და ტურიზმის საკითხთა სამუშაო ჯგუფი;

დ) სოციალური უზრუნველყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი.

სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ ჩატარებული იქნა 14 სხდომა,რომელზეც განხილული იქნა სხვადასხვა საკითხები.

2019 წლის ნოემბრის სხდომაზე კომისიამ განიხილა 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი და კომისიის გადაწყვეტილებით კენჭი ეყარა პროექტის უკან დაბრუნებას შემდეგი სახის შენიშვნებით (რეკომენდაციებით):დაბალანსებული;

1. ,,ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის ,,მიერ 2018 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ივნისის N 1 განკარგულების შესაბამისად, მოხდეს ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის“ ბალანსზე არსებული სპორტდარბაზის შენობის სრული რაბილიტაციის პროექტის შედგენა და ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი დაფინანსების გათვალისწინება.
2. ,,ა(ა)ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მიერ საბიბლიოთეკო მომსახურების, მუზეუმების სამუზეუმო ფოდისა და მართვის ორგანიზების სფეროში გაწეული საქმიანობისა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 მაისის N 26 განკარგულებისა და საკრებულოს სოციალური, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის 22 მაისის N 3 აქტის შესაბამისად, ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას მთავარი ბიბლიოთეკის შენობის მ.გოგიბერიძის სახლ-მუზეუმის და იმ შენობა-ნაგებობათა ნაწილის, რომლებშიც განთავსებულია ბიბლიოთეკები რეაბილიტაციისთვის შესაბამისი დაფინანსება.
3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30/03/2018 წლის N 30-ე განკარგულების (ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არსებული მდგომარეობისა და ავტორიზაციისათვის მოსამზადებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/09/2018 წლის N 72-ე განკარგულების (სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ/ -პედაგოგების / აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“) შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 მაისის N 27 განკარგულების შესაბამისად, მოხდეს N2 ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის პროექტის შედგენა (N 1 ბაგა-ბაღის და N 1 ბაღის განტვირთვის მიზნით), 2020 წლის ბიუჯეტში შენობის რეაბილიტაციისათვის დაფინანსების გათვალისწინება, გაგრძელდეს ბაგა-ბაღებში და ბაღებში შენობა-ნაგებობის და ინფრასტრუქტურული ობიექტების ეტაპობრივი რეაბილიტაცია, და მოხდეს შესაბამისი დაფინანსების გათვალისწინება ადგილობრივ ბიუჯეტში.
4. ,,ა(ა)ი.პ. საფეხბურთო კლუბ ბახმაროს ანგარიში 2019 წელში გაწეული საქმიანობისა და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 ოქტომბრის N51 განკარგულების შესაბამისად, ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ა(ა)ი.პ. ,,ბახმაროს“ ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის პროექტირებისათვის საჭირო დაფინანსება.
5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში ა(ა)ი.პ. საფეხბურთო კლუბი ,,ბახმაროს“ დაფინანსება გათვალისწინებულია 150,0

ათასი

ლარით, აქედან შრომის ანაზღაურებაა 125,2 ათასი ლარი და საქონელი და

მომსახურება

24,8 ათასი ლარი. წარმოდგენილი საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი , არ არის

შესაბამისობაში მოყვანილი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული და შესაბამისი

ცვლილებები წარმოდგენილ იქნას ბიუჯეტის პროექტში.

6. საქართველოში ტურიზმის განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის წარმოდგენილ პროგრამული ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული კუთხით წარმოდგენილია, მხოლოდ ღონისძიება ევროკავშირის პროექტის ,,მონაწილეობით CARRETE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის დაფინანსება, ისიც გაურკვევლია თუ რა თანხით. შესადგენია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა და შესაბამისად საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფა.

7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი,06,00) გამოყოფილი. ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 861,0 ათასი ლარს, ხოლო 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში (კოდი 06.00) წარმოდგენილი საბიუჯეტო ასიგნებები შეადგენს 625,9 ათას ლარს, ფაქტიურად 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში ხარჯები შემცირებულია 235,1 ათასი ლარით.
   მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს . ამიტომ გთხოვთ, აღნიშნული გაითვალისწინოთ და შესაძლებლობის შემთხვევაში შეიტანოთ შესაბამისი ცვლილებები 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში.

გასულ წელს, კომისიისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებებიდან გამომდინარე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში რეფორმირებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესწავლა. ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)ი.პ -ების მუშაობის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების შესაბამისად, კომისიის

მიერ მონაწილეობა იქნა მიღებული სხვადასხვა საკითხთა მომზადება, განხილვასა და გადაწყვეტაში.

აქვე აღვნიშნავ, რომ ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი,სადაც, კანონმდებლობიდან გამომდინარე, მუშაობა მიწევს სხვადასხვა საკითხებზე.

2019 წლის პერიოდში მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა ტრეინინგ-სემინარებში.

როგორც შუა ამაღლების მაჟორიტარი დეპუტატი, აქტიურად ვმონაწილეობდი ადმინისტრაციულ ერთეულში კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხთა მომზადებასა და გადაწყვეტაში, კერძოდ, ჩემი რეკომენდაციით დახმარება გაეწია, დაახლოებით, 100-მდე სოციალურად დაუცველ მოქალაქეს, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებს,შშმ პირებს, და სხვადასხვა სახის სოციალურად დაუცველს.

კანონმდებლობიდან გამომდინარე, ამჟამად ჩართული ვარ სოფლის სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტაში, ,ეს შეეხება მოქალაქეთათვის დახმარების გაწევას, რეკომენდაციების მიცემას, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადებასა და განსახილველად წარდგენას, საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში პრობლემების გადაწყვეტას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებას,ასევე, მზადაა და რეგისტრაციაში უნდა გატარდეს შუა ამაღლების განვითარების ფონდის წესდება.

ვლადიმერ სიხარულიძე

სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

24.12.2019